

გეორგიული სომხების პირობები სოფელ „გეორგი ფარსათში“

„მთელი ზამთარი დავდივარ ბაღდათის
გამგებელსა და რწმუნებულს შორის,
პასუხის ღირსად კი არავინ მაგდებს!“

იხილეთ მე-4 გვერდზე


ქუთაისში მსოფრთხი დავნილები საინისტროს უწყებადგომასა და ტყუილში ადანაშაულებენ

„ქალაქის განაპირას, ამ მიტოვებულ
შენობაში დარჩენილები,
ყველასთვის ზედმეტი ტვირთი ვართ!“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ენციეთ გაზეთი „პ.ს.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

დაგვეხსენი, ჩრდილოლო!



უკრაინის მოვლენები ყველაზე მწვავე საკითხია დღეს საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში. უკრაინელი ხალხის ბრძოლა ევროპული ღირებულებების დასაცავად უკვე აღარ არის მხოლოდ ერთი ქვეყნის საქმე. შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკრაინაში ყველაზე მწვავედ გამოვლინდა ის კონფლიქტი, რაც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთსა

და დასავლეთს შორის არსებობს. წშირად ისმის საუბარი იმაზე, რომ რუსეთი დღეს ცდილობს, უკრაინა საბოლოოდ ჩამოაშოროს ევროპას! ხომ არ იქნება შემდეგი საქართველო?!

ალბათ, სიმბოლურია ისიც, რომ უკრაინის მოვლენები თებერვალში ხდება. საქართველოსთვის ეს თვე რუ-

სულ ოკუპაციასთან ასოცირდება. სწორედ 1921 წლის 25 თებერვალს მოახდინა საბჭოთა რუსეთმა საქართველოს სრული ოკუპაცია და სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო დამოუკიდებელი გახდა, თუმცა საბჭოთა კავშირის რეანიმაცია, როგორც ჩანს, რუსეთის პრეზიდენტის პირად დღის წესრიგში

კვლავ არის. ვლადიმერ პუტინი კი უკვე დიდი ხანია, არ მალავს, რომ მისთვის საბჭოთა კავშირის დამლაგეობოლიტიკური ტრავგედია იყო და აპირებს მის რეანიმაციას, რა თქმა უნდა, სხვა სახელწოდებით — ეს არის ევრაზიული კავშირი. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ევრაზიული კავშირის შექმნა უკრაინის გარე-

შე უტოპიური იდეაა. ამის თაობაზე არაერთ სტატიაში დაწერილა. როგორც ჩანს, 2014 წლის თებერვალში, ვლადიმერ პუტინმა უკვე აქტიური მოქმედება დაიწყო იმისათვის, რომ მისი ოცნება აუხდენელი არ დარჩეს.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მთავრობისგან მიტოვებული გიორგი მარგველაშვილი, რუსეთ-ევროკავშირი და პოზიციის-ოპოზიციის უფასოება

საქართველოს ახალი პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით პირველად წარსდგა

21 თებერვალს, პრეზიდენტის რანგში პირველად, პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით წარსდგა გიორგი მარგველაშვილი. საკანონმდებლო ორგანო-

ში მარგველაშვილმა იმ მნიშვნელოვან გამოწვევებსა და გეგმებზე ისაუბრა,

რაც საქართველოს წინაშე დგას.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

თეონა აქუბარდია:
**„როსა ჩვენი ჯარი როგორია
 ახალ საერთაშორისო
 სამშვიდობო მისიაში
 ერთვება.
 მნიშვნელოვანია
 საზოგადოების
 მხარდაჭერა“**

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქუთაისის მერიის თანამშრომლების
 ტრანსპორტირება ბიუჯეტს
 427000 ლარი
 უჯდება

იხილეთ მე-4 გვერდზე

კომერსიონტი
 კომერსიონტი.ge
 წიგნების მაღაზია
 მისამართი: ქუთაისი, „საბუღლო“;
 ტელ.: 790 927 927.

**წიგნები
 უნ გალოდუა!**

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „საბუღლო“, წიგნების მაღაზია „კომერსიონტი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

მთავრობისგან მიტოვებული გიორგი მარგველაშვილი, რუსეთ-ევროკავშირი და პოზიცია-ოპოზიციის უფასოება

საქართველოს ახალი პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით პირველად წარსდგა



„ქვემოთ“ (ნესტან ჩაბალიძევილი) ©

პირველი გვერდიდან

პარლამენტში პრეზიდენტის მოხსენებას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სინოდის წევრები დაესწრნენ. მათ შორის იყო ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე.

თუმცა, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის პირველი ანგარიშის წარდგენისას საკანონმდებლო ორგანოში არ იმყოფებოდნენ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე და მთავრობის წევრები.

აღნიშნული ფაქტი საპარლამენტო ოპოზიციამ პრეზიდენტის უპატივცემულობად მონათლა. უმცირესობის წარმომადგენლის, გიორგი გაბაშვილის შეფასებით, მთავრობის დაუსწრებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტის დაუფასებლობას მიუთითებს.

„იმის გამო, რომ პრეზიდენტს არ ექვემდებარება მთავრობა, არ ნიშნავს იმას, რომ პატივი არ უნდა სცენ ხალხის არჩეულ პირველ პირს და ასეთი გულგრილობით და დაუსწრებლობით გამოხატონ თავისი დამოკიდებულება პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების წინაშე, არ ჩათვალოთ, რომ მე თქვენი პოლიტიკური გულშემატიკი ვარ, იცით, რომ ეს ასე არაა, მაგრამ არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტები, რომელსაც უნდა სცე პატივი და პრეზიდენტის ყოველწლიური გამოსვლა საქართველოს პარლამენტში არის მოვლენა, სადაც თავი უნდა შეიწუხონ ბატონებმა ხალხურებმა, დარბაზვილებმა, ალასანიებმა, წულუკიანებმა და სხვებმა და აქ უნდა ისხდნენ. არ არის საჭირო, რომ დისკუსიაში ჩაერთონ და გამოხატონ პოზიცია, მაგრამ ასეთი ხაზგასმული უპატივცემულობა, კარგი არაა,“ — განაცხადა გაბაშვილმა.

მთავრობის დასაცავად ოპონენტებს უმაღლესი დიპლომატიური უმრავლესობაში და პარლამენტში მთავრობის არ მისვლა შემდეგნაირად ახსნეს: „დიახ ბატონებო, აქ არ იმყოფებიან მთავრობის წარმომადგენლები, რადგან ამ წუთებში სწორედ ქვეყნისთვის მუშაობენ.“

გიორგი მარგველაშვილმა ყოველწლიური ანგარიში უკრაინაში განვიტარებული მოვლენების შეფასებით და დადებული მოქალაქეების სოფლის პატივსაცემად წუთიერი ღუმით დაიწყო.

პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ევროპელი ლიდერების ჩართულობით დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევა შესაძლებელი იქნება. მანვე მოუწოდა პრეზიდენტი იანუკოვიჩს, რომ მას ჯერ კიდევ აქვს გადამწყვეტი პოლიტიკური და არა ძალადობრივი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაიცვას მთავარი, რაც უნდა დაიცვას უმაღლესმა ხელისუფალმა — თითოეული ადამიანის სიცოცხლე და ქვეყნის ერთიანობა.

პრეზიდენტმა მოხსენებაში გასული წელი შეაფასა. მარგველაშვილის განცხადებით, 2013 წელი მნიშვნელოვანი იყო სხვადასხვა რეფორმებით, მედიის და სიტყვის თავისუფლების მხრივ, ასევე მოხდა ბიზნესის გათავისუფლება, მაგრამ მთავარ გამოწვევად საპრეზიდენტო არჩევნები დაასახელა, რომელიც მისივე თქმით, დემოკრატიის ნორმების სრული დაცვით ჩატარდა.

მარგველაშვილმა ასევე ისაუბრა ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების უფლებებზე, საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. მან ამავე დროს, ვრცელი სიტყვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რუსეთთან ურთიერთობას დაუთმო.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანა ცდილობს, აჩვენოს, რომ საქართველოში პრობლემების შექმნით, რუსეთში არც ერთი პრობლემა არ გვარდება.

„ჩვენ ვცდილობთ, ვაჩვენოთ, რომ საქართველოში პრობლემების შექმნით, რუსეთში არც ერთი პრობლემა არ გვარდება, არამედ, შესაძლოა, პირიქითაც. ვცდილობთ, ვაჩვენოთ დალაგებული, ეკონომიკურად სტაბილური საქართველო. საქართველო, რომელმაც გააკეთა თავისი ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი, არ ნიშნავს ვინმეს წინააღ-

მდეგ გაერთიანებას, ჩვენ ვაშენებთ მშვიდობიან და დემოკრატიულ ქვეყანას, რომლის მიზანაც კეთილშობილობაა. ოღონდ, იმის საფუძველზე, როდესაც დაცული იქნება ჩვენი სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ამ ღირებულებების პატივისცემის ფონზე. ამ რაციონალური მიდგომით ჩვენ შევცვალებთ წინა ხელისუფლების აგრესიული რიტორიკა, რომელსაც არანაირი შედეგი არ ჰქონდა.

ჩვენი დასავლურობა ჩვენ არა ვინმესთან დაპირისპირებით, არამედ, საკუთარ, უნიკალურ ევროპულ იდენტობაზე ავაყვებ. ამ პროცესში ჩვენ შარშან გავხსენით დიპლომატიის ფორმატი რუსეთთან, სადაც საუბარი ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებზე იყო. მიგვაჩნია, რომ ამ პროცესებში გარკვეული წინსვლა შეიმჩნეოდა. თუმცა, მავთულხლართების მშენებლობამ და 11-კილომეტრიანი საზღვრის ზონის გადმოწევაზე ამ პოზიციის სერვიოზული ზიანი მიაყენა.

ამავე დროს, ჩვენ კვლავ ვაცხადებთ მზადყოფნას, გავადრმაოთ, ჩვენს პარტნიორებთან ერთად, რუსეთთან დიპლომატიური და ევროატლანტიკური სტრუქტურებში ინტეგრაციის პარალელურად. ასევე, საქართველოს ეროვნული ინტერესების, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პრინციპების სრული პატივისცემის გათვალისწინებით. ამ პრინციპებზე დაყრდნობით ჩვენ ვაპირებთ გადავჭრათ ეს ურთულესი პრობლემები. ჩვენ ვიცით, რომ ძალიან რთული გზა არის, მაგრამ ამავე დროს ეს ერთადერთი გზაა,“ — აღნიშნა მარგველაშვილმა.

მანვე აღნიშნა, რომ საქართველოში ევროპული არჩევანი არასდროს გადაიხედება და რომ 2014 წელს უნდა გარდამავდეს და განმტკიცდეს თანამშრომლობა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორ აშშ-სთან.

21 თებერვლის პრეზიდენტის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თვითმმართველობის ახალ კოდექსს.

მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ

საკანონმდებლო ორგანოში თვითმმართველობის კოდექსის მიღებას მიესალმება. მისი თქმით, თვითმმართველობის ახალი კოდექსი ჩვენს იურიდიული უმცირესობებით დასახლებულ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

მარგველაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც გააკეთა აქცენტი, და არჩევნების ჩატარების თარიღად მიმდინარე წლის 15 ივნისი გამოაცხადა.

მარგველაშვილის ერთსაათიანმა ანგარიშმა საკანონმდებლო ორგანოში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. როგორც მოსალოდნელი იყო, რაც მოსაწონი აღმოჩნდა უმრავლესობისთვის, მიუღებელი იყო უმცირესობისთვის. საპარლამენტო უმრავლესობის განცხადებით, მარგველაშვილმა ამომწურავი და დეტალური ანგარიში წარუდგინა პარლამენტს. უმცირესობის თქმით, კი პრეზიდენტი და უმრავლესობა კვლავ „ოცნებებში“ დარჩნენ.

„პრეზიდენტმა ნათელი მოჰფინა იმ ახალ საკონსტიტუციო მოდელს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს უფლებები უმცირესობის აქვს. ასევე, მან ისაუბრა რუსეთთან ურთიერთობაზე, უკრაინაში არსებულ მდგომარეობაზე და ყველაზე მნიშვნელოვანი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღიც დაასახელა. მე არ მახსენდება არცერთი არჩევნები, როცა პრეზიდენტს ამდენი ხნით ადრე დაესახელებინოს არჩევნების თარიღი,“ — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მანანა კობახიძის განცხადებით, კი თუკი ოპოზიციას პრეზიდენტის გამოსვლა არ მოეწონება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კრიტიკის გარეშე არ შეუძლიათ.

„რა დაგამახსოვრდათ ამ გამოსვლიდან, რა სიახლე გავიგეთ? ისევ და ისევ ოცნებები და ფრაზები. თუმცა, ერთი რამ მაინც გავიგე, თურმე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიო ბანკს დაუგეგმია. ეკონომიკას უნდა გვემავდეს სახელმწიფო და არა მსოფლიო ბანკი, ჩვენ არც გვექონია დიდი მოლოდინი ამ გამოსვლის, თუმცა ახლა უფრო მძიმე შეთავზილებები შეგვექმნა,“ — განაცხადა გიორგი ვაშაძემ.

ნესტან ჩაბალიძევილი

პრეზიდენტმა ადგილობრივი არჩევნების დღედ 15 ივნისი გამოაცხადა

საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, სხვა საკითხებთან ერთად, მოახლოებული ადგილობრივი არჩევნების თემასაც შეეხო და არჩევნების თარიღიც დაასახელა.

როგორც გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის 15 ივნისს გაიმართება.

„თვითმმართველობის არჩევნები, თვისობრივად, 2013 წლის არჩევნებზე ნაკლები არ უნდა იყოს. თვითმმართველობა „ჩვენს იურიდიული უმცირესობების მქონე ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია“. მისასაღებელია ის ფაქტი, რომ პარლამენტმა თვითმმართველობის რეფორმა მიიღო და ამ რეფორმამ კოდექსის სახე შეიძინა,“ — განაცხადა პრეზიდენტმა.

შანა ჯანალიძა psnews.ge

„25 თებერვალი — საქართველოს ოკუპაციის დღე“ — გამოფენა პარლამენტში

21 თებერვალს პარლამენტის სხდომათა დარბაზის წინ, ფოიეში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „25 თებერვალი — საქართველოს ოკუპაციის დღე“.

„საქართველოში ოკუპაციის დღე 2012 წლიდან აღინიშნება და დღევანდელი გამოფენა ამ ფაქტს გვინდა მივუძღვნათ,“ — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გიორგი კანდელაკმა.

გამოფენის ინიციატორი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“. პარლამენტში წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ფოტო, რომლებზეც საქართველოს პირველი რესპუბლიკის საბჭოთა ოკუპაციის ცალკეული პერიოდებია ასახული.

„საქართველო იყო შემდგარი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც ჩაახშო საბჭოთა ოკუპაციამ. გამოფენის მნახველს შეუძლია გააკეთოს ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მაშინაც — 1991 წელს, როდესაც იყო საქართველოს დაპყრობის მცდელობა, 2008 წელსაც, 1992-93 წლებში და დღესაც, კიევში, უკრაინაში განვითარებული მოვლენები მიგვანიშნებენ, რომ თავისუფლებას ებრძოდა და ებრძვის ერთი და იგივე ძალა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამარცხდეს,“ — განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

ნესტან ჩაბალიძევილი psnews.ge



ქუთაისის მერიის თანამშრომლების ტრანსპორტირება ბიუჯეტს 427000 ლარი უჯდება



პარტია „თავისუფალი საქართველო“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია ქუთაისის მერიის წლიურ ხარჯებთან დაკავშირებით უკმაყოფილებას გამოთქვამს. მისი თქმით, მერიას განცხადებით მიმართა იმის დასადგენად, თუ რა თანხა იხარჯება მერიის თანამშრომლების გადაადგილებასა და სატელეფონო მომსახურებაში.

მერიის საპასუხო წერილში კი აღნიშნულია, რომ 2014 წელს მერიის თანამშრომლების ტრანსპორტირებისათვის 427 ათასი ლარი, ხოლო სატელეფონო ხარჯებისათვის – 38,4 ათასი ლარია გამოყოფილი.

„ეს სრული მარაზშია, ეს არის კორუფცია და მეტი არაფერი. რატომ სჭირდება მერიის თანამშრომლებს ამდენი ფული სიარულში, ან რას

ლაპარაკობენ ტელეფონზე, რომ ათასები არ ჰყოფენ? ასეთ უთავბოლო ხარჯებს ურჩევნიათ, გაჭირვებულ მოსახლეობას დაეხმარონ. რომ გაიძახიან, ხაზინაში თანხები არ გადაქვსო, ერთჯერად დახმარებებს არ აძლევენ ხალხს და თვითონ კი არაფერს იკლებენ.“ – განაცხადა გოგი წულაიამ.

წულაიას მიერ ამ თემაზე 21 თებერვალს გამართულ ბრიფინგს ქუთაისში მცხოვრები ორი ქალბატონი: ნატო ხარაიშვილი და ნინო ჩიქავა ესწრებოდნენ. მათი განცხადებით, გასულ წელს არაერთხელ მიმართეს ქუთაისის მერიას ერთჯერადი დახმარების თხოვნით, თუმცა უარი მიიღეს იმ მიზეზით, რომ ხაზინაში თანხა არ არის.

შანა ჯანელიძე psnews.ge

დათო ტურაშვილი: „ისინი, ვინც ღინჯის წინააღმდეგ მიდიან, ყველაზე საინტერესო ადამიანები არიან კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტები მხოლოდ იმ არაამერიკელ ლიდერებს უჭერენ მხარს, ვინც მათთვის სასურველ ისტორიას ქმნიან.“

მწერალი დათო ტურაშვილი სოციალურ ქსელში საინტერესო მოგონებას ავრცელებს, რომელშიც ზვიად გამსახურდიას სიკვდილისწინა ერთ-ერთ ეპიზოდს ეხმიანება...

დათო ტურაშვილი:

„ჩემთვის პირიქით იყო და არის, და ისინი, ვინც ღინჯის წინააღმდეგ მიდიან, ყველაზე საინტერესო ადამიანები არიან კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტები მხოლოდ იმ არაამერიკელ ლიდერებს უჭერენ მხარს, ვინც მათთვის სასურველ ისტორიას ქმნიან.“

ზვიად გამსახურდიას კი ყველაზე მეტად საქართველოს ისტორია აინტერესებდა, რომელსაც ქმნიდა კიდეც, მაგრამ ამერიკელები და რუსები რას გვაპატიებდნენ, როცა ქართველებმა კი არ აპატიეს პირველ პრეზიდენტს ძალიან უბრალო შეცდომები, როცა მთავარი და მეათეხარისხოვანი ერთმანეთისაგან, უბრალოდ, ვერ გავარჩიეთ. იქნებ იმ შეცდომებზე ლაპარაკობდნენ კიდეც ზვიად გამსახურდიას და მისი ვაჟი ვენაში, სადაც პრეზიდენტი საქართველოში დაბრუნებამდე გროზოდან ჩავიდა. ისინი მთელი დღე ისხდნენ ვენის ტრამვაის ვაგონში, სულ ბოლო სკამზე და საუბრობდნენ საქართველოზე, ალბათ, ისე სევდიანად, რომ ტრამვაის ვატმანი მხოლოდ გახედვდა და ხოლმე მათ და არ ეუბნებოდა, რომ ეს უკვე ბოლო გაჩერებაა. ვინ იცის, რამდენჯერ შემოუარა იმ ტრამვაიმ ავსტრიის წვიმიან დედაქალაქს და იქნებ ზვიად გამსახურდიამაც დანამდვილებით იცოდნა, რომ იგი საქართველოში სიკვდილთან შესახვედრად ბრუნდებოდა.

ის კი ფაქტია, რომ საქართველოში დაბრუნებული პირველი პრეზიდენტის გზა ერთნაირად ჰგავდა წიგნებში მთავარის შუქზე გადალახულ ადიდებულ ენგურს და ძველი კოლხური მითოსის რომელიღაც მისტერიას. შეიძლება ერთი შეხედვით ცოტა ველურ შთაბეჭდილებასაც ტოვებდეს მისი ცხოვრების ერთი სიკვდილისწინა ეპიზოდი მეოცე საუკუნის ბოლოს, მაგრამ სწორედ ეს ეპიზოდი, მგონი, ყველაზე ბევრისთვის მთავარი პირადი ჩემთვის. როდესაც რუსეთის არმიის ნაწილებმა დასავლეთ საქართველოში შემოსვლა დაიწყეს, ზვიად გამსახურდიას მისმა თანხლებამ პირებმა მთიან სამეგრელოში აიყვანეს. ერთი დამე მათ ტყეშიც კი გაატარეს, მაგრამ კარავში დაძინება შეუძლებელი იყო, რადგან ტყეში მოშობილი ნადირიც ბევრი იყო და პრეზიდენტი და მისი დაცვის წევრები მთელი დამე ალმოდებული ჩირაღდნებით ცდილობდნენ მათ მოგერიებას. სამეგრელოში დასრულდა კიდეც საქართველოს პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე, მასთან ერთად კი ის ეპოქაც გასრულდა, რომელმაც მეორედ მეოცე საუკუნეში დამოუკიდებლობა მოუტანა საქართველოს, სამწუხაროდ – მხოლოდ ძალიან მცირე ხნით.

რუსებმა, რასაკვირველია, მათთვის ძალიან წარმატებით გამოიყენეს ქართული ხასიათის რამდენიმე თავისებურება და საერთო ქართული სისუსტეები: ხელისუფლებისა და ოპოზიციის შეცდომები, ქართული ამბიციები და



დათო ტურაშვილი

ამპარტავნობა, სულსწრაფობა და მოკლემხედველობა, შური და გაუტანლობა... სიზარმაცე და გაუნათლებლობა... დანარჩენი მსოფლიოც მაშინ ისევე შეხვდა რუსულ აგრესიას, როგორც მანამდე ან მერე, რადგან უკვე მშვენიერ სავარძელში მოკალათებული, ვეროპისა თუ ამერიკის ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ წარმოიდგენდა მთიან სამეგრელოს იმ ტყეს, სადაც მეოცე საუკუნის ბოლოს მათი ქართველი კოლეგა, ჩირაღდნით ხელში ებრძოდა ველურ სიბნელეს. ისიც მიფიქრია, რომ შეიძლება სხვებისთვის თავისუფლების მიღწევას სულაც არ დასჭირვებია ამდენი თავგანწირვა და სისხლი თუ ცრემლი, რაც ქართველებმა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საუკუნეების მანძილზე გაიღეს, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ სულ ვიბრძვით და მოვიპოვებთ, მაგრამ ყოველთვის ვკარგავთ და მერე თავიდან ვიწყებთ. უკვე მერამდენედ ვიწყებთ და არც გვებზრდება და მგონი იმიტომ, რომ ყველაფერის მიუხედავად, ეს ხალხი მაინც ხვდება (შინაგანი ინტუიციით მაინც), რომ თავისუფლებაზე ძვირფასი ამ სამყაროში მაინც არაფერი არსებობს...

გეორგიანი სხოვრების პირობები სოფელ „გეორგი ფარსათში“

„მთელი ზამთარი დაგვივარ ბაღდათის გამგებელსა და რწმუნებულს შორის, პასუხის ღირსად კი არავინ მაგდებს!“

21 საუკუნის ქართული სოფელი — ცხოვრება ყველანაირი საცხოვრებელი პირობის გარეშე. ბაღდათის რაიონ სოფელ „გეორგი ფარსათში“ გზა, გაზი და წყალი ის უცხო ხილია, რომელიც აქაურებმა წელიწადის ვერცერთ დროს ვერ „დაკრიფეს“.

სოფლის სახელის მსგავსად, აქ ყველაფერი მეორადია, საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანსაცმელი და სასმელი წყალიც კი. ეზოებში ონკანები არ აქვთ და სოფელი წყალს ურჩებენ ეზიდება, გზა სახლსა და წყალს შორის გრძელია, მარაგი კი — ცოტა, ამიტომ წყლის ყველა წვეთს აქ ოქროს ფასი აქვს.

სოფელში დამკვიდრებული „მეორადი წყლის“ ცნება ასე აგვიხსენეს — ხელოს ნაბან წყალს გადასაქცევად ვერ იმეტებენ და პირუტყვის საკვებს ამზადებენ; სასმელ წყალთან ერთად, სოფელ მეორე ფერსათში გაზიფიცირებაც აუხდენელი ოცნებაა. ამბობენ, რომ გარშემო სოფლებში გაზი გაიყვანეს, მათი დასახლება კი გაურკვეველი მიზეზით გამოტოვეს. წინასწარჩვენოდ გაცემული უამრავი დაპირებების მიუხედავად, სოფლის ბედით არავინ დაინტერესებულა.

გიორგი ლილუაშვილი სოფელ მეორე ფერსათის მკვიდრია, მეზობლების რთულ პირობებს შორის კიდეც უფრო ურთულესი ცხოვრებით. ოჯახი, სადაც პირველი სტუმრობისთანავე ჩნდება განცდა, რომ აქ დრო წლების წინ გაჩერდა. ერთთაბიანი პატარა ფიცირული დიდი ოჯახს დიდი ვაჭირებით იტყვის. თავად სახლს იმისთვის, რომ ქარმა არ წააქციოს, ბიჭებით დიდი ხის მორები ამაგრებს. სოციალურად დაუცველი ოჯახის ერთადერთი შე-

მოსავალი 200-ლარიანი დახმარებაა, რომელსაც კრედიტის გამო, მომდევნო სამი თვე ვეღარ აიღებენ.

ოჯახში 2 მცირეწლოვანია. 8 წლის ნოდარისა და 10 წლის გიორგისთვის საშობაო არდადეგები ჯერაც არ დასრულებულა, გზა მათ სახლსა და სკოლას შორის გრძელია და ფეხით ასავლელი. ფეხმარდებს ფეხს უფეხსაცმელობა უბოჭავთ, ამიტომ სურვილის მიუხედავად, სკოლაში სიარულს ვერ ახერხებენ.

პატარები ოცნებებშიც მოკრძალებულები არიან — გვითხრეს, რომ ბედნიერებისთვის ორი რამ სჭირდებათ: თბილი ფეხები და თბილი სახლი.

სოფელში ტყის მოჭრა ეკრძალებათ, გიორგისა და ნოდარის მამას კი შეშის საყიდელი სახსრები არ აქვს. ამიტომ ცივ ზამთარში მათ სახლში ღუმელი მხოლოდ პერიოდულად ინთება, ისიც მეზობლების ნაწყალობევი შეშით. პატარები პატარა ხელებით ნახევრადჩამქრალ ღუმელთან თბებიან.

ოჯახის უფროსის თქმით, სოფელში ყველაზე გაჭირვებული ოჯახებისთვის 200 ლარიანი ვაუჩერები დარიგდა, მათ რიცხვში ლილუაშვილების უკიდურესად გაჭირვებული ოჯახი ვერ მოხვდა. „მთელი ზამთარი დავდივარ ბაღდათის გამგებელსა და რწმუნებულს შორის, მინდა მივიღო პასუხი კითხვაზე: ვინ არის სოფელში ჩემზე



„გეორგი“ (მკა შალაშვილი) ©

გაჭირვებული, რომ ის ერთჯერადი დახმარება მე არ მომცეს? შეილება სიცივით მიწყდება, პასუხის ღირსად კი არავინ მაგდებს,“ — ამბობს სოციალურად დაუცველი გიორგი ლილუაშვილი.

იმავე კითხვაზე პასუხის მიღება ფერსათის თემის რწმუნებულისგან ტატო ჯიხაძისგან გვადეთ: ჯიხაძემ დავიდასტურა, რომ სოფელში 200-ლარიანი ერთჯერადი დახმარებები ნამდვილად გაიცა, მაგრამ უკიდურესად გაჭირვებულებზე...

ლილუაშვილების ერთთაბიანი,

ბიჭებით გამყარებული ფიცირული, სადაც არც წყალია, არც სითბო და არც საკვები, როგორც ჩანს, გარედან დანახული თვალით იმდენად მდიდრულად გამოიყურება, რომ შემწეობას არ საჭიროებს. არადა, ამ ოჯახს დახმარება ნამდვილად სჭირდება, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ლილუაშვილების მესამე ვაჟი, რომელიც სამყაროს სულ რამდენიმე დღის წინ მოველინა, უფროსი ძმებით სიცოცხესა და შიმშილში არ გაიზარდოს.

მკა შალაშვილი

P.S. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. ფაქტია, რომ რწმუნებულს, ჯერჯერობით, არ ესმის, რომ ის სწორედ ლილუაშვილისნაირმა, თუნდაც ინტელიგენტმა ადამიანებმა დაიქირავეს და ხელისუფლებაში დასვეს იმიტომ, რომ მათგან ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებასა და ნორმალურ მომსახურებას ითხოვენ. ჯერჯერობით კი, საქებარი ნამდვილად არაფერი აქვთ ლილუაშვილების ოჯახთან.

ქუთაისში მსხოვრები დავნილავი სამინისტროს უყურადღებობას და ტყუილ ადანაშაულებას

„ქალაქის განაპირას, ამ მიტოვებულ შენობაში დარჩენილები, ყველასთვის ზედმეტი ტვირთი ვართ!“

ქუთაისში, გამსახურდიას №85-ში, ფირმა „ანკომის“ შენობაში მცხოვრები დევნილები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ტყუილსა და უყურადღებობაში ადანაშაულებენ.

შენობაში, რომელიც ამორტიზირებულ მდომარეობაშია და სიციხისთვის საფრთხეს წარმოადგენს, 1992 წლიდან 20 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. დევნილები აღნიშნავენ, რომ ამ ხნის განმავლობაში გაუსაძლის პირობებში უწყვედად ცხოვრება. შენობაში არ არის წყალი, გაზი და გაუქმებულია კანალიზაცია. ამ ყველაფერს ისიც ართულებს, რომ წლებია, შენობის სახურავიდან წყალი ჩამოდის, რასაც მოსახლეობა ჭერზე გაკრული პარკებით ებრძვის. ჩამონგრეული კედლები, ფეკალური მასებით სავსე სარდაფი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

არაერთგზის იმედგაცრუებული დევნილები ჩვენს მისვლასაც იმ იმედით შეხვდნენ, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მათ ყურადღებას ამაგრად მიაქცევს. როგორც მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, ამ წლების განმავლობაში დაპირების მეტი არაფერი მიუღიათ.

ციალა კვარაცხელია, დევნილი: „ისე წვიმს, როგორც გარეთ. არანაირი საცხოვრებელი პირობა ჩვენ არ გვაქვს. რომ შემოგვასახლეს, იმის მერე ჩვენი პრობლემებით არავინ დაინტერესებულა. მინისტრის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი იყო მოსული. დაგვიბრდა მარტში გადაიყვანათო, შემდეგ – ოქტომბერშიო. მეორე მარტი მოდის, მაგრამ ჩვენ ისევე აქ ვართ. რომ ვურეკავთ და თავს ვახსენებთ, აქეთ გვედიდგულა — „რა სხვებს დაურიდათ ბინები?“ ამხელა თანამდებობის კაცი რომ მოდიხარ და მპირდები, თუ არ შეგიძლია, იმედს ნულა მაძლევ, მითხარი, რომ 2017 წლამდე ვერ გადამიყვან. მაგათი დაპირებების გამო, 2008 წლიდან ჩემოდნებზე ვხივართ.“

იმედო ბარამია, დევნილი: ყველა ხომ ამ შენობაში ვცხოვრობთ, ყველას ერთნაირ პირობებში გვიწევს ყოფნა, მიუხედავად ამისა, სამინისტრომ ახალი ინიციატივის ფარგლებში, თურმე იმის გამო, რომ ბინები უკანონოდ და ნაცნობობით არ მივიღოთ, ქულები მოგვანიჭა. რა აზრი აქვს ამ ყველაფერს, თუ ქულები მიენიჭათ ნაცნობობით? განა შეიძლება ამ შენობაში მცხოვრებებს ნული ქულა მიანიჭო? არასოდეს ვაინტერესებდით არცერთ მთავრობას. ქალაქის განაპირას, ამ მიტოვებულ შენობაში დარჩენილები, ყველასთვის ზედმეტი ტვირთი ვართ. პარკები მაქვს გაკრული ჭერზე, ლოგინში რომ არ დამაწვიმოს. წვიმა რომ გადაიღებს, ერთი კვირა მაინც წყალი ჩამოდის, ისეა ჭერი წყლით გაყვანილი. კედლებზე სოკო და ხავსია, ბაყაყებიც კი გაჩნდა. ნესტი ჩვენს ჯანმრთელობას კიდევ უფრო აზარალებს.“

არჩილ გორგოძე, დევნილი: „ათჯერ გადაიღეს, მეთერთმეტედაც გადაიღეთ, იქნება დაინტერესდეს სამინისტრო და მოგვხელსო. წვიმის დროს საწოლს ოთახში დავატარებ, თავზე რომ არ დამაწვიმოს. კედლის ნანგრევები გვეცემა თავში. ამდენი წელია, აქ ვცხოვრობ და ჩვენთან მოსული მაღალჩინოსანი მე არ მინახავს, ერთადერთი ცოტნიაშვილი იყო, მაგრამ ისიც მხოლოდ დაპირებით. გვპირდებოდნენ, შედეგი კი არ ჩანს. წყალი ჩვენ შემოვიყვანეთ ეზოდან, რადგან კერძო საკუთრებაა, არ გვიკეთებენ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან. სარდაფი სავსეა ფეკალიებით. ნულთუ, შეიძლება ამ მდგომარეობაში ცხოვრება?“



დევნილობის „ქალაქი“

„პ. ზოგო“ (ნესტან ჩაბალიშვილი) ©



ნაიის „შაბრკოვას“

„პ. ზოგო“ (ნესტან ჩაბალიშვილი) ©



სინათლე და სალონის „ქაბრი“ დევნილების უანჯრავში

„პ. ზოგო“ (ნესტან ჩაბალიშვილი) ©

დევნილების განცხადებით, მიმდინარე წლის პირველი მარტიდან მათი დახმარების თანხა იმატებს, ამავდროულად კი სამინისტრო ყოველგვარი

არ ექნებათ.
აღნიშნულ პრობლემაზე იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი, გიორგი სანთელაძე გვესაუბრა.

სანთელაძის განცხადებით, ამ დრომდე კერძო საკუთრებაში მცხოვრები დევნილი 28 ლარს იღებდა, კომპაქტურად ჩასახლებული კი 22 ლარს, ამასთან ერთად, კომპაქტურად ჩასახლებულებს სამინისტრო კომუნალურ გადასახადს უფარავდა. მარტიდან კი დევნილის სტატუსის მქონე ყველა პირის დახმარება 45 ლარი ხდება, კომუნალური გადასახადის გადახდა კი თავად მოუწევთ. სანთელაძე არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ სამინისტრო ფულის ერთი ჯიბიდან მეორეში ანაცვლებს, რადგან მისი თქმით, დევნილი ბევრად მეტ თანხას მიიღებს, ვიდრე მათი კომუნალური გადასახადისთვის არის საჭირო.

რაც შეეხება „ანკომის“ შენობაში მცხოვრები დევნილების სხვა პრობლემას, გიორგი სანთელაძე აღნიშნავს, რომ ბინის მისაღებად მათ ანკეტები უნდა შეავსონ, რის საფუძველზეც ახლადგარემონტებულ ბინებში მიიღებენ ფართს. ამ დროისთვის ქუთაისში ოთხ ახალ შენობას უტარდება რეკონსტრუქცია, მათ შორისაა კლინიკური საავადმყოფოს ძველი შენობა.

სანთელაძე დევნილებისთვის მინიმალურ ქულას შემდგენილად ხსნის:

„ქულები ენიჭებათ საცხოვრებელი პირობის, ჯანმრთელობის და საარსებო კრიტერიუმების მიხედვით. ნული ქულა მიენიჭათ მათ, ვისაც უკვე მიღებული ქონება უფიქსირდება. არანაირად ქულები ნაცნობობით არავის მინიჭებია. გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში USAID-ის დაფინანსებით ხდება შენობების რეაბილიტაცია. ეს რთული პროცესია და დევნილთა რაოდენობის გამო, ვერ დასრულდება ერთ და ორ თვეში, ამისთვის გარკვეული პერიოდი საჭირო და ზუსტი დროის დასახლება გამიჭირდება. რაც შეეხება ტყუილსა და უყურადღებობას, სამინისტრო არავის არ ატყუებს. უბრალოდ დროის ფაქტორია, თორემ ბინებით ყველა დევნილი დაკმაყოფილდება,“ — განაცხადა გიორგი სანთელაძემ.

და როდის, ბატონო გიორგი, როდის? — ეს კითხვა კვლავ პასუხგაუცემელია!

ნესტან ჩაბალიშვილი

ექმნება თუ არა საფრთხე ქართველების უცხოეთში დასაქმებას?

რადიოკომპანიებითა და ელექტრონული მედიით გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში აღარ სურთ ქართველი ქალბატონების შინამოსამსახურებლად აყვანა და მათ დასაქმებას საფრთხე შეექმნა, მტკნარი სიცრუეა, — აცხადებს ემიგრანტულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციის დამფუძნებელი ინა ასანიძე. ეს კომენტარი ქალბატონმა ინამ ვინმე ნუგზარ სულაშვილის საპასუხოდ გააკეთა, რომლის პოსტიც მედიასაშუალებებმა ცოტა ხნის წინ გაავრცელეს.

„მე არ ვიცი, სად ნახეს ამის შესახებ ინფორმაცია. თუ ბატონ სულაშვილს დაუვრებებთ, ცივილიზებულ სამყაროში სამარცხვინო იმიჯით ვიმკიდრებთ სახელს ქართველები. ვისაც ამერიკისა და ევროპაში მიიმე ემიგრანტული ცხოვრებით უცხოვრია, იცის, რომ ქართველებს ძალიან დიდ პატივს სცემენ უცხოეთში იმ ბუნების გამო, რაც ჩვენში ზის.“

როცა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანაში შრომითი მიგრანტი მიდის, მისი დასაქმება ადვილი არ არის, თუმცა ჩემი გამოცდილებით გეტყვით, რომ მოხუცი მომწველად აყვანის დროს მოსამსახურების შერჩევა მკაცრი წესებით მიმდინარეობს. ეს არის ზუსტად ისეთივე „კასტინგი“, როგორც შეიძლება იყოს ნებისმიერ კარგ სამსახურში აყვანის დროს. ყოველგვარი ეროვნული მეტეორიზმის გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხუცების მომწველად ურჩევნიათ ქართველი ან თავად ამერიკელი.

მინდა გამოვხატო ბატონ სულაშვილს, რომელიც თურმე ფეისბუქსა და რამდენიმე მედიაგამოცემაში ტირაჟირებს ამ საკითხით — ქართველების დასაქმებისათვის შეკავებისკენ მოწოდებებს მოსახლეობას. მინდა შევახსენო მას, რომ საქართველოდან წასული ემიგრანტების 75% ქალია, რომლებმაც დიდი სტრესი ისედაც გადაიტანეს, რადგან ოჯახები და სამშობლო მიატოვეს და ახლა უკვე ნოსტალგიით შეპყრობილთ სულაშვილი ლამის კრიმინალურად ნათლავს.

ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს ვინმეს ილუზია, რომ ქართველთა შორის ვინმე არ მოიპარავს ან პროსტიტუციას არ მისდევს, ან კიდევ სხვა კრიმინალს არ სჩადის, მაგრამ ეს ეროვნულობის მიხედვით არ ხდება. ქურდი და ნარკომანი ყველა ერშია, თუმცა ეს არ ქმნის ერის დისკრედიტაციის საფუძველს.

გადავამოწმე რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ არცერთგან არ დასტურდება პოლიციის მიერ ქართველი შინამოსამსახურების დასაქმებაზე ასეთი მითითება. თუ ემიგრანტი ლეგალურ ცხოვრებას ეწევა, მას ვერცერთი ქვეყნის პოლიცია ვერ აუკრძალავს დასაქმებას. მით უფრო, დასავლური ღირებულებები ვიწროვროვნულ და მოვინისტრო გამომხდომებს არ იცნობს! თუნდაც გაფრთხილება იყოს, ამის უფლება პოლიციას არ აქვს, მით უფრო — რომელ დაკანონებულ საუბარში?“

რამდენიმე ემიგრანტს ჩვენ დაუკავშირდით ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ ისინი ამდგავარ გაფრთხილებას პოლიციის მხრიდან არსად არ შეხვედრიან. გამოითქვა მოსაზრება, რომ ემიგრაციული ნაწილის გაღიზიანების მცდელობა პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება: თითქოსდა ემიგრანტები არც საქართველოში „სჭირდებათ“ და საზღვარგარეთაც მათი მდგომარეობა სავალალოა.

როლანდ ხოჯანაშვილი
psnews.ge

25 თებერვალი, 1921 წ.

თოვდა და თბილისი ებურა თაღნი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,
ძილდვირად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა
გრდემლი —
ისევ გოლგოთა, სისხლი და
ცრემლი!
მშობელი დედა, ისევ გაგვიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგვიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ
დაგინდეს!

კოლაჯო ნაღირაძე

გვანსოვდას ჩვენი ისტორია!

საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ
დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან
(1918 წლის 26 მაისი) სამ წელში,
1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელ-
მძღვენილობამ ძალის გამოყენებით
საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.
რუსეთის წითელი არმია ჩვენს ქვეყანაში
12 თებერვალს შემოიჭრა. რუსეთის მე-11
არმიის ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და
მოხალისეები თბილისის მისადგომებთან
აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯორისა და
ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა.
მე-11 არმიის იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა
გაუწიეს. მათ ერთხანს კიდევ უკუაგდეს
მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების
შედეგად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის
ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან
ბრძოლაში მოხალისედ წასული, პოეტ
კონსტანტინე მაყაშვილის 20 წლის ქალიშვილი
მარო მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის
ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.
23 თებერვალს კოჯორისა და ტაბახმელას
ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.
1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა
რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში
უბრძოლველად შეიჭრა. მოკავშირეების
გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა
ქვეყანამ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა
რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა
საქართველოს დედაქალაქი და აქ საბჭოთა
ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ
სუვერენიტეტი დაკარგა. საქარ-



თველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო
იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო
და ემიგრაციაში წავიდა. მეტბოლ იუნკერებს
სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.
კოჯორის მახლობლად გმირულად
დაღუპული იუნკერები დიდი პატივით
დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. იქ, სადაც
ამჟამად საქართველოს პარლამენ-

ტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული
ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს
კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის
შედეგად დაანგრიეს.
2010 წელს საქართველოს პარლამენტმა
ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც
ავალეს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს,
ასევე ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა
პატივსაცემად, რომლებიც „კომუნისტურმა
საოკუპა-

ციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით
სიცოცხლეს გამოასალმა“, დაუშვას
სახელმწიფო დროშები და გამოცხადდეს
წითელი დღე.

თეონა აქუბარდია:

„როსა ჩვენი ჯარი როგორც ახალ საერთაშორისო სამუშაო
მისიაში ერთვება, მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა“

საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო
მისიებში ხშირად გამხდარა საზოგადოებრივი
მსჯელობის თემა დადებით თუ უარყოფით
კონტექსტში. თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენი
ქვეყნის ევროპული არჩევანი და სწრაფვა
ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ,
ქვეყანას გარკვეულ ვალდებულებებსაც
აკისრებს.

ავღანეთის შემდგომ საქართველოს
ევროკავშირის შეთავაზება აქვს, ცენტრალურ
აფრიკაში სამხედრო ოპერაციაში ქართველი
სამხედროების ჩართვასთან დაკავშირებით.

საქართველოში აშშ-ის ელჩის, რიჩარდ
ნორლანდის შეფასებით, „ქართველი
სამხედროები ამჟამად ბევრად მაღალ დონეზე
არიან და მათ შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა
არა მხოლოდ ნატოს მიერ მართულ ოპერაციებში,
არამედ ევროკავშირის ოპერაციებშიც, მაგალითად,
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. ქართველი
სამხედროები აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს,
რაც შეიძლება მათ წინაშე იყოს წარმოდგენილი“.

დღეს საქართველოს პარლამენტმა კენჭი
უყარა საქართველოს შეიარაღებული ძალების
ჩართვას ევროკავშირის სამშვიდობო მისიაში,
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ყვადაწყვეტილებას
106 დეპუტატმა დაუჭირა მხარი 1-ის წინააღმდეგ.

სწორედ საქართველოს საერთაშორისო
სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის თემაზე
და რა სხვაობა იქნება თუნდაც ავღანურ და
აფრიკულ სამშვიდობო მისიებს შორის, ამ
საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ თავდაცვისა და
უსაფრთხოების სამოქალაქო საბჭოს წევრს,
თეონა აქუბარდიას.

თეონა აქუბარდია: — საზოგადოებამ იცის,
რომ საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს
ნატოსთან „აისავის“ მისიის ფარგლებში

და სამხედრო ძალების კონტრიბუციის მხრივ
ყველაზე მსხვილი ქვეყანა ნატოს არაწევრ
სახელმწიფოებს შორის. ჩვენი დანაყოფების
რაოდენობა იქ 1 561-ს შეადგენს. ერთის
მხრივ, ამ მისიაში ჩვენი სამხედროები იღებენ
სერიოზულ სამხედრო გამოცდილებას, მეორეს
მხრივ კი — ქვეყანას თავის წვლილი შეაქვს
საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის
საქმეში.

დაახლოებით თერთმეტი ათასმა სამხედრო
მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა ამ მისიაში,
რაც იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ ამ ოდენობის
კარგად მომზადებული და ნატოსთან თავსებადი
სამხედრო ჰყავს ქვეყანას.

როგორც ცნობილია, ქართველი სამშვიდობოები
ავღანეთში მისიის დასრულებამდე დარჩებიან
და ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს
2014 წლის შემდეგ პოსტ-ISAF-ის პერიოდშიც
დაეხმარებიან. რა ფორმით იქნება ეს დახმარება
გაწეული, ეს ვერ კიდევ მოლაპარაკების
საგანია, თუმცა საქართველომ ავღანურ
ძალებს გაწვრთნა შესთავაზა როგორც
ადგილზე, ასევე საქართველოში.

ამასთან, საქართველო გვემავს 2015 წლიდან
ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში ჩართვას,
რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთ კომპონენტში
გაგზავნიან ნატოს პარტნიორი. საბოლოო
ჯამში კი, ეს ყველაფერი ქვეყანას დაეხმარება
ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოებაში და
ქვეყნის შეიარაღებული ძალების ნატოს
სტანდარტებთან მოყვანაში, რაც ქვეყნის
უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია.

*** რაც შეეხება ცენტრალურ აფრიკაში
ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო
მისიაში საქართველოს ჩართულობის საკითხს,
ეს მისია განსხვავდება თავისი სახით ავღანეთის
მისიისაგან. საქართველომ ვილინუსში
გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის



თეონა აქუბარდია

სამიტზე ხელი მოაწერა ჩარჩო ხელშეკრულებას
ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში
მონაწილეობის შესახებ. ცნობილი გახდა, რომ
ცენტრალურ აფრიკაში ევროკავშირის ეგიდით
მიმდინარე ოპერაციაში საქართველოს ჩართულობის
საკითხიც განიხილებოდა. დასავლური პრესის
ინფორმაციაზე დაყრდნობით, საუბარია საქართველოდან
ერთი ასეულის გაგზავნაზე. ამ მისიაში ჩართულობის
გადაწყვეტილებას პარლამენტმა უკვე უყარა
კენჭი. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირმა
ეს ოპერაცია ახლანა დაამტკიცა და მისიის
მანდატი ამ ეტაპზე 6 თვითაა განსაზღვრული,
ხოლო მასში 500-მდე სამხედრო იქნება ჩართული,
თუმცა შესაძლოა, ეს რაოდენობა გაორმაგდეს.

მისიის მთავარი ამოცანაა ცენტრალური აფრიკის
დედაქალაქის და აეროპორტის დაცვა ჰუმანიტარული
კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და თავის
არსით უფრო წაავსოს კოსოვოს მისიას, რომელშიც
საქართველო იყო ჩართული.

გაეროს მანდატის საფუძველზე, ადგილზე
1 600 ფრანგი და 5000 აფრიკელი ჯარისკაცი
იმყოფება. დიდი ბრიტანეთი და გერმანია
მისიის ლოგისტიკურ მხარდაჭერას ახორციელებს,
ხოლო ესტონეთმა სულ ახლახან გამოთქვა
მზადყოფნა 55 ჯარისკაცით მონაწილეობაზე.
ამ ეტაპზე მიმდინარეობს სხვა ქვეყნების
მონაწილეობის საკითხის განხილვა, მათ შორის
არიან: ესპანეთი, ბელგია, პოლონეთი, ჩეხეთი.
უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამხედ-

რობს საკმაოდ დიდი შეფასება აქვთ მიღებული
ჩვენი ევროპელი პარტნიორების მიერ და ის
ფაქტი, რომ საქართველოს ევროკავშირში
სამხედრო კომპონენტში თანამშრომლობის
შეთავაზებით მიმართა, კიდევ ერთი
გამოხატულებაა იმისა, რომ მათ შესწევთ
ძალა ასეთ მისიებში მონაწილეობის.

ამ მისიაში საქართველოს მონაწილეობის
ფაქტი ჩვენს ქვეყანას ევროკავშირთან
უსაფრთხოების თანამშრომლობის მხრივ
უფრო მეტად დაახლოებს და საქართველო,
ნატოსთან ერთად, ევროკავშირის ეგიდით
წარმოებულ ოპერაციებშიც იქნება ჩართული.

როგორც იცით, ევროკავშირი საქართველოს
მნიშვნელოვან დახმარებას უწევს უსაფრთხოების
კუთხით, რაც გამოიხატება ევროკავშირის
სადამკვირვებლო მისიის მუშაობით, თუმცა
აუცილებელია, რომ საზოგადოებამ იცოდეს,
რას მოუტანს ქვეყანას ამ მისიაში მონაწილეობა
და ამაში დიდი როლი აკისრია როგორც
ხელისუფლებას, ასევე სფეროში უკეთ
გათვითცნობიერებულ არასამთავრობო
ორგანიზაციებს.

როდესაც საუბარია იმაზე, რომ ჩვენი
ჯარი რომელიმე ახალ საერთაშორისო
სამშვიდობო მისიაში ერთვება, მნიშვნელოვანია
საზოგადოების მხარდაჭერა. რა თქმა უნდა,
არცერთ მოქალაქეს არ სურს, რომ მისი
ჯარისკაცი სხვა ქვეყანაში მსახურობდეს,
თუმცა, უნდა გავათვითცნობიეროთ ისიც,
რომ მაშინ, როცა ქვეყანას რთული უსაფრთხოების
გარემო აქვს, მნიშვნელოვანია ჩვენს
სტრატეგიული თუ ევროპულ პარტნიორებთან
თანამშრომლობა ამ სფეროშიც, რათა
ქვეყანამ, საბოლოო ჯამში, განახორციელოს
თავისი ევროპული და ევროატლანტიკური
კურსის რეალიზება, ევროკავშირთან და
ნატოსთან ინტეგრაციის მხრივ.

მომზადდა როლანდ ხოჯანაშვილმა

ფილოსოფია



უსაყვარლეს ადამიანს, ჩვენს კოლეგას და ყოფილ თანამშრომელს, მაცა ჩინიძეს...

გაზეთ „რ.ს.“-ის რედაქცია

კვირის პროსკოვი

ვერდი: ამ ქვეყნად ყველაფერს აქვს ორმაგი ბუნება. წარმატება შეიძლება უცებ იქცეს დამარცხებად...

კურო: ეს კვირა კარგია საქმის დასაწყებად. შესაძლებელია თქვენი „მეორე ნახევრის“ რჩევა დაგჭირდეთ...

ტყულები: ეს კვირა წარმატებული იქნება ისეთი ფინანსური ოპერაციებისათვის, რომლებიც დამოკიდებულნი არიან მოგზაურობაზე...

კირჩხიბი: კარიერაში თავბრუდამხვევი წინსვლა მოსალოდნელია. ეცადეთ, იაქტიუროთ.

ლომი: დიდი საქმეები გელოდებოდა, რომელიც პირად ცხოვრებას მოგწყვეტთ, არ დაწვდეთ, თორემ თქვენი ღვაწლი უკვალოდ ჩაივლის.

ქალწული: ეს კვირა შემოქმედებითი აღმასვლისთვის მეტად პოზიტიური იქნება, თუმცა ჩავარდნები არც პირად ცხოვრებაშია მოსალოდნელი.

სასწორი: თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი არის. წარმატება გელოდოვს როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში.

მორიელი: ზუსტად განსაზღვრავთ პრიორიტეტებს და თქვენი მონდობა ხელმძღვანელობისათვის შეუმჩნეველი არ დარჩება.

მშვილდოსანი: მეტი მობილიზება და სიმშვიდე გმართებთ ოჯახური პრობლემების გადაწყვეტისას. აჩქარება სიკეთეს არ მოგიტანთ.

თხის რქა: მიენდეთ ინტუიციას და ნებისმიერი პრობლემის გადასაჭრელად მას მიმართეთ, გააკეთეთ ისე როგორც გიკარნახებთ გულმანი.

მერწყული: თქვენი მიზანსწრაფულობა შეუმჩნეველი არ დარჩება და შემოგთავაზებენ პროექტს, რომელიც უფრო მომგებიანი იქნება.

თევზები: კარგი დროა კულტურული დასვენებისთვის.

წინა ნომრის კრისვორდის პასუხები

თარაზულად: 3. პოკაილო. 5. ამალი. 6. მის. 8. ალი. 9. გალია. 11. იურისტი. შვეულად: 1. სკოლა. 2. კი. 3. ჰიმალი. 4. ისირისი. 7. მაისი. 10. ბრა.

Table with 10 columns and 10 rows containing letters and numbers for a crossword puzzle.

მაცხოვარი, ღვთისმშობელი, ნინო და პატრიარქი უკრაინის გაგებლის ოთახში

როგორ დაასაქმა საჯარო მოხელემ უმუშევარი მხატვარი

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებელს დავით ქვეცივილს, გამგებობის შენობაში, სამუშაო ოთახში მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდა გიორგის, წმინდა ნინოს, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და სხვა საზოგადო მოღვაწეების, დიდი ზომის ნახატები აქვს გაკრული.

როგორც დავით ქვეცივილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრის განუცხადა, ნამუშევრები ყვარლის რაიონის სოფელ შილაში მცხოვრებ მხატვარს, ვლადიმერ გელაშვილს ეკუთვნის.

„ყვარლის რაიონში, სოფელ შილაში ცხოვრობს მხატვარი, რომელიც ამ სურათებს ხატავს და ჩვეულებრივ ვყიდულობ. დაახლოებით წელიწადზე მეტია, რაც გამგებლად დავინიშნე და იმის შემდეგ ყოველთვის თითო სურათს ვყიდულობ. ახლა უკვე 13 სურათი მაქვს და გამომდინარე იქიდან, რომ 13 ჩემი საყვარელი რიცხვია, აქ შევჩერდი.“



დავით ქვეცივილი

დი. ცამეტი მნიშვნელოვანი ფიგურის პორტრეტი შევარჩიე. ძირითადად ქართველები არიან, რომელთაც გარკვეული წვლილი მიუძღვით სხვადასხვა ეტაპზე ქვეყნის განვითარებასა და აღმშენებლობაში.

— ნამუშევრებში თანხას საიდან იხდით?

— ჩემი ჯიბიდან, რა თქმა უნდა.

— ეს დეკლარირებას ექვემდებარება?

— არა მგონია, იმიტომ, რომ ეს არ არის ისეთი ქონება. თუმცა, ახლა მთლიანობაში რასაც უყურებთ, 3 000 ლარზე მეტს მიაღწევს. ერთობლიობაში, ვფიქრობ, უფრო მეტი ელირება. ფაქტობრივად, წელიწადი და სამი თვეა, რაც ამ ნახატებს ვაგროვებ. თითო თვეს თითო სურათი მოჰქონდა.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ შილაში მხატვრისთვის შეგვეყვით?

— იდეა ძალიან სპონტანურად გამიჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ ის სამუშაოს ეძებდა, უბრალოდ მოვიდა და დასაქმება მიხვდა. ჩვენ მაგ კუთხით ძალიან იშვიათად შეგვიძლია ვინმე დავასაქმოთ და, უბრალოდ, ერთი სურათი მაჩუქა. მერე ვთხოვე, რომ ილია ჭავჭავაძის სურათი დაეხატა, მომეწონა. პირველი ილია ჭავჭავაძის სურათი დაეხატინე და შემდეგ უკვე ვუთხარი, რომ ამ ყველაფერს მომიტანდა. შესაბამისად, ასეთი შეთანხმება გამოვივიდა და, საბოლოო ჯამში, ლამაზი კოლექცია გამოვიდა, — აღნიშნა ყვარლის გამგებელმა.

31 წლის დავით ქვეცივილი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ის 2012 წლის დეკემბერში დაინიშნა. ამავე დროს დავით ქვეცივილი ძიულდის ფედერაციის პრეზიდენტიცაა. იგი 73



კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის 2002 და მსოფლიოს 2006 წლების გუნდურ პირველობაში ჩემპიონია. დავით ქვეცივილი 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს ყვარლის მაჟორიტარად „ქართული

ლი ოცნებიდან“ იყრიდა, თუმცა არჩევნები „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა მარიკა ვერულაშვილმა მოიგო.
ick.ge
(კახეთის საინფორმაციო ცენტრი)

Large crossword puzzle grid with clues in Georgian.

პინ აკის უოგოზე? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე. ცნობილი და პოპულარული ქართველი მსახიობი ლიკა ქაფჯარაძე, ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა სულიკო ფუტყარაძემ ამოიცნო.

რას დააკვირვდით? პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე. ვიქტორ იანაშვილი და გიგია მარტოვილი. „თამაზა, წადი ლამაზად!“ ლილი შილაშვილი

კრისვორდი. პორიზონტალურად: 3. რელიგიის უარყოფა; 5. გაზაფხულის თვე; 6. ჯარი. ლაშქარი (მოდელი); 8. ქართული „თ“ ასოს სახელი; 9. „ვირა“, ასწიე. „...“ დაუშვი; 11. ჯორჯის შტატის დედაქალაქი. ვერტიკალურად: 1. მალღობა ფრანგულად; 2. ჩვენი ვარსკვლავი; 3. დიდი საბინაო ვარცლი; 4. „ამომავალი მზის“ ქვეყანა; 7. მდინარე გერმანიაში; 10. მოწონების შეძახილი კორიდაზე.